

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

- **შესავალი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანი არის ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პროცესისა და მისგან გამომდინარე ღონისძიებების მიმართ ერთიანი, თანმიმდევრული და ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნულ პოლიტიკას და სრულ თანხვედრაშია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და ბოლონის პროცესთან.

ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაცია და მისი კომპონენტების დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში და კვლევით საქმიანობაში ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული სწავლის შედეგების მიღწევას, ინტერკულტურული უნარების განვითარებას და საერთაშორისო ქსელების შექმნას, რაც მოამზადებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სტუდენტებს და მკვლევარებს თანამედროვე სამყაროში ცხოვრებისა და მუშაობისთვის.

- **ინტერნაციონალიზაციის მიზანი**

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ცნობადობის და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი და დემოკრატიული ღირებულებების მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა.

- **ინტერნაციონალიზაციის მართვა და შეფასების მექანიზმები**

უნივერსიტეტის მასშტაბით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია კსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების

დეპარტამენტის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით რექტორის მოადგილეს წინაშე, რომელიც თავის მხრივ ყოველწლიურად ანგარიშს აბარებს რექტორს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ასახავს ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის ერთიან სტრატეგიულ მიმართულებებს გრძელვადიან პერსპექტივაში, ხოლო აღნიშნული კუთხით მიმართულებების და ამოცანების განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები, ვადები და პასუხისმგებელი ორგანიზაციული ერთეულები გაწერილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამოქმედო გეგმაში. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულების მონიტორინგი, ანგარიშგება, შეფასება და გასაუმჯობესებელი სამუშაოების ჩატარების საჭიროება განისაზღვრება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებისა და ამოცანების შეფასების ინდიკატორების საშუალებით.

- **ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები, ამოცანები და შეფასების ინდიკატორები**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით პოლიტიკას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით და თითოეულის შესაბამისი ამოცანების მიღწევით.

1. **საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარება და გაფართოება**

- 1.1. ურთიერთგაგების მემორანდუმების და თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- 1.2. ურთიერთგაგების მემორანდუმების და თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება უცხოურ ორგანიზაციებთან.

ინდიკატორები: უცხოურ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა

2. **საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია**

- 2.1. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება;
- 2.2. საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდა;

- 2.3. სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის საერთაშორისო მობილობა;
- 2.4. უცხოელი პროფესორებისა და/ან ტრენერების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში და/ან ექსტრა-კურიკულარულ აქტივობებში (ვორქშოფები, ტრენინგები, კურსები, სემინარები, საჯარო ლექციები და ა.შ.);
- 2.5. თანამედროვე უცხოენოვან ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 2.6. ორმაგი დიპლომის ხარისხის პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

ინდიკატორები: უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა; უცხოელი სტუდენტების რაოდენობა; საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა; პროგრამების ჩართვაში და განვითარებაში ჩართული უცხოელი პერსონალის რაოდენობა; ექსტრა-კურიკულარულ აქტივობებში ჩართული პერსონალის რაოდენობა; საერთაშორისო ექსპერტების დადებითი დასკვნები/ანგარიშები;

3. კვლევის ინტერნაციონალიზაცია

- 3.1. საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვა, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- 3.2. უცხოელ მკვლევართა ჩართვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევებში;
- 3.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერების წახალისება მათი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მეტი ინტეგრირებისთვის;
- 3.4. უცხოელი კადრების მოზიდვა უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების მხარდასაჭერად;
- 3.5. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი ინსტიტუციის წარმოდგენა კვლევების მხარდამჭერ საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- 3.6. საერთაშორისო სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.
- 3.7. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა.

ინდიკატორები: ერთობლივი კვლევითი პროექტები; საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი; აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსი საერთაშორისო ბაზებში; სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რაოდენობა.

4. უნივერსიტეტის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა

- 4.1. უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარება უცხო ქვეყნებში;
- 4.2. საერთაშორისო სარეიტინგო სისტემები;
- 4.3. საერთაშორისო გამოფენები;
- 4.4. საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში წევრობა.

ინდიკატორები: ქვეყნების რაოდენობა, სადაც კსუ არის აღიარებული; საერთაშორისო სარეიტინგო სისტემების რაოდენობა; საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობა; გაწევრიანებული საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელების რაოდენობა.

5. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ინიცირება და მათში ჩართვა ადგილობრივ და საერთაშორისო კოლაბორატორებთან ერთად

- 5.1. ინსტიტუციური განვითარების, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტების შეტანა საერთაშორისო საგრანტო ორგანიზაციებში, ფონდებსა და პროგრამებში.

ინდიკატორები: შეტანილი ინსტიტუციური პროექტების რაოდენობა.

6. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ორგანიზაციული მართვის პროცესებში

- 6.1. პერსონალის საერთაშორისო მობილობების ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში/ორგანიზაციებში შესწავლილი/აღმოჩენილი მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების ინტეგრირება;
- 6.2. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად სასწავლო პროცესების მართვის სისტემის მოდერნიზება;
- 6.3. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე/გადამზადებაზე ზრუნვა მათი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტზე მორგების მიზნით.

ინდიკატორები: დანერგილი საუკეთესო პრაქტიკების რაოდენობა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების/გადამზადების ღონისძიებების რაოდენობა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი არის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მიმართულებებზეც მათი კომპეტენციებიდან გამომდინარე მუშაობენ შესაბამისი სამსახურები (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები და ა.შ.).

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თითოეული ქვემიმართულების განვითარების კუთხით აქტივობები გაწერილია უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმაში და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებში.